TM

გოჯუ-რიუ ონლაინ

ზაფხული, 2023

საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატე დოს ფედერაციის ელექტრონული ჟურნალი

- ზაფხულის DOJO CHALLENGE თბილისისა და აჭარის დოჯოებში
- ვიზიტი კინო-თეატრში
- სპოტრფესტი
- საკვალიფიკაციო გამოცდა
- სენსეი ლევან როგავა ტაილანდში სემინარს გამართავს
- სტატია ჟუნალიადან OK!
- დოჯოს დაბადების დღე
- საქართველოს ჩემპიონატი გოჯუ-რიუში
- გონიოს საზაფხულო შეკრება
- ოკინავას გაშუკუ



DOJO CHALLENGE თბილისში

7 მაისს ჰონბუ დოჯოში ჩატარდა რიგით მესამე შიდა ტურნირი "DOJO CHALLENGE". მებრძოლთა ერთ-ერთმა წყვილმა – ნიკო რურუამ და კონსტანტინე ხოროშვილმა, რომლებიც ერთმანეთს წინა ტურნირებშიც გამოირჩეულად მეტოქეობდნენ, ამ შეჯიბრზე ბრძოლა ფრედ დაასრულეს და პირველ-მეორე ადგილები გაინაწილეს.

7 მაისის შეჯიბრის გამარჯვებულები არიან:

ანდრია კალანდაძე, ალექსანდრე ჩანტლაძე, სანდრო მაისნერი, ირაკლი მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კევლიშვილი, ნიკოლოზ ლიპარტელიანი, ნიკოლოზ ინგოროყვა, კონსტანტინე ხოროშვილი, ნიკო რურუა, ნიკოლოზ ბიბილაშვილი. .

DOJO CHALLENGE

აჭარის დოჯოში

30 აპრილს შიდა ტურნირი – დოჯო ჩელენჯი – ჩატარდა აჭარის ფედერაციის დოჯოშიც. მასში 50-მდე მოსწავლემ იმონაწილეა. ასეთი ტურნირების ჩატარება საქართველოს მასშტაბით ხელს უწყობს გოჯურიუს დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას.

ვიზიტი კინო-თეატრში

6 მაისს გუნდმა ზანშინმა უმცროსი მწვანე და ლურჯქამრიანი კარატეკები კინო-თეატრში დაპატიჟა. ასეთი აქტივობები მოსწავლეებს შორის გუნდურობას და მეგობრობას აძლიერებს.

სპორტფესტი

20-21 მაისს „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში პირველი ქართული სპორტული ფესტივალი – სპორტფესტი ჩატარდა. სპორტფესტი მოიცავდა სპორტის სხვადასხვა სახეობის ზონებს, სპორტ-არენას, სპორტულ ფედერაციებს, სკოლებს, კლუბებს, სავარჯიშო დარბაზებს, მაღაზიებსა და უამრავ სხვა რამეს. სპორტფესტზე წარდგენილი იყო სპორტის არაერთი სახეობა – ფეხბურთი, ბეისბოლი, ჯიუჯიცუ, რაგბი, ტექბოლი, ავტო-სპორტი, მთის სპორტი, ველოსპორტი და სხვა, მათ შორის გახლდათ გოჯუ-რიუც.

შეიქმნა შესანიშნავი გარემო, სადაც ჩვენმა გუნდმა ნათლად შეძლო ჩვენეული სტილის წარმოჩენა. საჩვენებელ ნომერში გუნდმა წარადგინა გოჯუ-რიუს საგანძური – ირიკუმი, კატები, ჰოჯო უნდო, ბუნკაები და ა.შ.

სპორტული ფესტივალების ჩატარება აძლიერებს და პოპულარიზაციას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს საზოგადოებაში.

საკვალიფიკაციო გამოცდა

2023 წლის 28 მაისს საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს ფედერაციის ჰონბუ დოჯოში ჩატარდა საკვალიფიკაციო (ქამრების) გამოცდა. გამოცდაში მონაწილეობდა 150-მდე მოსწავლე – ჰონბუ დოჯოდან, წალენჯიხის დოჯოდან და სკოლა იუჯიდან.

გაიცა ორი შავი ქამარი: მათე გეთია (წალენჯიხის დოჯო) – ჯუნიორ შოდანი, რევაზ ჭელიძე (ჰონბუ დოჯო) – შოდანი (I დანი).

რევაზ ჭელიძე, I დანი, გამოცდის შემდეგ:

„აღფრთოვანებული ვარ და მინდა, ყველას გაგიზიაროთ ჩემი ამბავი. შვიდწლიანი თავდადებული ვარჯიშისა და შრომის შემდეგ, წარმატებით მივაღწიე შავ ქამარს! ეს გზა სავსე იყო გამოწვევებით, ზრდით და დაუვინყარი მოგონებებით. ნამდვილად მადლობელი ვარ ყოველი ნაბიჯისათვის, რომელმაც ამ მომენტამდე მიმიყვანა.

როდესაც დოჯოში პირველად მოვედი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ერთ დღეს მე შავ ქამარს მოვიპოვებდი, – ეს აუხდენელ ოცნებად მეჩვენებოდა. თუმცა, ჩემი საოცარი სენსეის, ლევან როგავას და ყველა სხვა სენსეების ურყევი მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით, მე შევძელი, ეს ოცნება რეალობად მექცია.

აწ უკვე შავი ქამრის მფლობელი, თან ვატარებ ფასდაუდებელ გაკვეთილებს და მეგობრობას, რომლებიც ამ გზაზე შევიძინე. ეს მხოლოდ დასაწყისია ზრდის, საკუთარი თავის აღმოჩენისა და მუდმივი გაუმჯობესებისა მთელი ცხოვრების მანძილზე.

მადლობა ყველას, რომ იყავით ჩემი ცხოვრების ამ წარმოუდგენელი ეტაპის ნაწილი. თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის ნიშნავს მთელ სამყაროს და მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად ვატარებ ჩემი საბრძოლო ხელოვნების გზის შემდეგ ეტაპს.“

სენსეი ლევან როგავა:

„ზოგადად, ქამარზე გამოცდა განსაკუთრებულ ემოციებს უკავშირდება, რადგან მთელი თვეების და წლების ნაშრომი გარდაიქმნება კონკრეტულ სტატუსად და გადადის უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და თავდაჯერებულობაში.

ვინც ერთხელ მაინც ნამყოფია ჩვენს გამოცდაზე, იცის, რა რთული და შრომატევადი სამი საათის გატარება უწევს გამომცდელს სენსეების წინაშე. ვულოცავ ყველა მონაწილეს და ვუსურვებ უფრო მეტ წარმატებებს საბრძოლო ხელოვნების გზაზე!“

DOJO CHALLENGE

ივნისი

4 ივნისს ჰონბუ დოჯოში ჩატარდა რიგით მეოთხე, ტრადიციად ქცეული DOJO CHALLENGE. ტურნირში მონაწილეობამ მებრძოლებს დიდი გამოცდილება შესძინა, რაც 24 ივნისს ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზეც ნათლად გამოჩნდა.

სენსეი ლევან როგავა ტაილანდში სემინარს გამართავს



2023 წლის 13-15 ოქტომბერს, ტაილანდის კუნძულ ფუკეტზე, საერთაშორისო ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს ფედერაცია გამართავს აზიის პირველ გაშუკუს (სემინარს).

სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ სენსეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან:

- სენსეი ტეცუჯი ნაკამურა (8 დანი, მსოფლიო შეფ-ინსტრუქტორი)
- სენსეი პერვეზ მისტრი (9 დანი, ინდოეთი)
- სენსეი ჰენრიკ ლარსენი (8 დანი, დანია)
- სენსეი ლუის ნუნესი (8 დანი, ესპანეთი)
- სენსეი კაცუია იამაშირო (8 დანი, იაპონია)
- სენსეი ლევან როგავა (5 დანი, საქართველო)

ჟურნალი „ქართული ელიტა“:

„ქართული სპორტისთვის, კონკრეტულად კარატესთვის, მეტად საამაყო ფაქტია ის, რომ ტაილანდში, მსოფლიო ორთაბრძოლების ერთ-ერთი უმაღლესი დონის ოსტატებით გამორჩეულ ქვეყანაში, ქართველი ჩაატარებს საერთაშორისო სემინარს. ამ შესაძლებლობისთვის მადლობა გოჯურიუს, IOGKF-ს შეფ-ინსტრუქტორს, იაპონელ დიდოსტატს, სენსეი ტეცუჯი ნაკამურას, რათა საქართველოს კარატეს განვითარებას კიდევ ერთი კარგი საშუალება მისცა!“

სენსეი ლევან როგავა:

„დიდი პატივია და უფრო დიდი პასუხისმგებლობა იმ დიდი ოჯახის წინაშე, რომელსაც IOGKF ქვია.

დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო სემინარი გამოვა ტაილანდში, ასევე სხვა უმაღლესი დონის სენსეებთან ერთად.“

ჟურნალი OK!

2023 წლის 2 ივნისს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალში - OK!-ში დაიბეჭდა ინტერვიუ სენსეი ლევან როგავასთან. გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

ოკინავა კუნძულია იაპონიის სამხრეთით. ესაა ადგილი, სადაც კარატე დაიბადა. თვითონ სიტყვა "კარატე" შიშველ ხელს ნიშნავს. მისი შექმნის თავდაპირველი მიზანი თავდაცვა იყო. იაპონელებმა შეძლეს თავდაცვის ეს სისტემა უფრო ღრმა და სასარგებლო საშუალებად გარდაექმნათ ადამიანის ფიზიკური და შინაგანი მდგომარეობის განსავითარებლად. იერარქიული საბრძოლო ხელოვნება დაფუძნებულია „ბუშიდოს“ კოდექსსა და ღირებულებებზე. მოვარჯიშეთა ასაკი განუსაზღვრელია, რაც ცხადყოფს ხელოვნების სიღრმესა და მნიშვნელობას. „დისციპლინა და პრინციპულობა არის უმნიშვნელოვანესი. და როგორც ლევანი ამბობს, კარატე „საკუთარი თავის მორევის ხელოვნებაა, სადაც უპირობო სიყვარულია საჭირო“. გოჯუ-რიუს მეხუთე დანის მფლობელი, სენსეი ლევან როგავა გვიყვება ამომავალი მზის ქვეყნის საბრძოლო ტექნიკაზე, სადაც ბრძოლაც კი ხელოვნებაა, და ბავშვებზე საქართველოდან, რომელთაც სურთ ისწავლონ მთავარი – „აკეთონ მოლოდინის გარეშე“, სადაც პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი, რადგან ამ შემთხვევაში შედეგი თავისთავად მიიღწევა.

რა უნარ-ჩვევებს ავითარებს ბავშვებში ეს სპორტი?

არ ვიქნები სუბიექტური და ჩემი მოსწავლეების მშობლებიც დამეთანხმებიან, რომ ეს მიმდინარეობა ბავშვებისთვის არის ძალიან ეფექტური და სასარგებლო საშუალება, რათა ბავშვები გახდნენ უფრო თავდაჯერებულები, მშვიდები და მიზანდასახულები. აგრესიულ გარემოში ვცხოვრობთ და ყველა მშობელს უნდა, რომ თავისი შვილი იყოს გაწონასწორებული და შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა. ჩემი უპირველესი მოვალეობაა აღმოვაჩენინო ბავშვებს თავიანთი სისუსტეები და როგორც პასუხისმგებლობის მქონე სენსეი, მათ დავეხმარო ამის გადალახვაში. უპასუხისმგებლობა დანაშაულია, როდესაც მათ არ ასწავლი, თუ როგორ გახდნენ ძლიერები. სწორედ ამას ვასწავლით ჩვენთან მოსულ ბავშვებს.

გოჯუ-რიუ – მსგავსება და განსხვავება კარატესთან...

გოჯუ-რიუ იაპონური სიტყვაა და ნიშნავს „მაგარის და რბილის სინთეზს“. სხვანაირად რომ გითხრათ, გოჯუ-რიუ ნიშნავს ბალანსს. ძალიან რთულია ბალანსის პოვნა ცხოვრებაში. სწორედ ამის პოვნაში გვეხმარება ეს საბრძოლო ხელოვნება. ვეძებთ ჰარმონიულობას საკუთარ თავთან და შესაბამისად, სამყაროსთან. ჩვენი სისტემა წვრთნის ადამიანის ფიზიკურ სხეულს და ალაგებს შინაგან მდგომარეობას. იაპონელები ამას უხილავ იარაღსაც კი ეძახიან. ყველა საბრძოლო ხელოვნებას პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ეს მიმართულება მნიშვნელოვან და განსხვავებულ როლს ასრულებს ადამიანის ძლიერად ჩამოყალიბების პროცესში.

ბოლო დროს ბავშვებში სულ უფრო პოპულარული ხდება გოჯუ-რიუ, რა არის მთავარი პრინციპები, რაზეც იაპონური ბრძოლის ხელოვნება დგას?

რამდენიმე ფაქტორია, რაც გოჯუ-რიუს პოპულარობას განაპირობებს. პირველი, ალბათ, არის ჩვენი სენსეების პროფესიონალიზმი. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ყოველდღე ვმუშაობთ საკუთარ თავზე, რადგან ვაცნობიერებთ ბავშვებთან მუშაობის უდიდეს პასუხისმგებლობას. მეორეა მშობლების დამოკიდებულება, რადგან ყველაზე კარგად ისინი ხედავენ ბავშვების დადებით ტრანსფორმაციას. ყველაზე მთავარი კი მაინც ბავშვების უკუკავშირია. ჩვენთან ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა მოდის სიხარულით, ანუ დაძალების გარეშე. ყოველი ვარჯიშის შემდეგ თავს გრძნობენ გაძლიერებულად და ბედნიერად. სწორედ ეს არის მათი მამოტივირებელი მუხტი, ივარჯიშონ. ერთდროულად განვითარდნენ როგორც მენტალურად, ასევე ფიზიკურად.

მთავარი, რასაც ასწავლი ბავშვებს...

ვფიქრობ, რომ ბავშვებს ვასწავლით მთავარს – სწორად აზროვნებას, ანუ ადამიანურობას. ყველა ერთად ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ფიზიკური სიძლიერე ვერ იქნება წარმატების გარანტია. აუცილებელია ინტელექტუალურ მხარეზე მუშაობა, ამის გარეშე შორს წასვლა და დიდი მიზნების მიღწევა წარმოუდგენელია. ამიტომ ამ ორი ასპექტის – ფიზიკურისა და შინაგანის სინთეზი ერთმანეთთან ერთი მთლიანის ორი მხარეა. ბავშვი ერთხელ თუ მიხვდა მთავარს, ესე იგი გზა გაკაფულია და იცის, საით წავიდეს და, რაც მთავარია, იცის, როგორ იაროს დასახულ გზაზე.

დოჯოს დაბადების დღე

ყველა ჩვენთაგანისთვის საყვარელი დოჯო 2023 წლის 21 ივნისს 11 წლის გახდა!
2012 წლის 21 ივნისს პირველი ვარჯიში ნაკამურა სენსეიმ ჩაატარა და იმ დღიდან მოყოლებული, დღემდე იღვრება აქ ოფლი.
თავდაუზოგავად ვშრომობთ და ვიზრდებით იმისათვის, რომ ვიყოთ უფრო ძლიერები.
ახლა უკვე ცხადია, რომ მზად ვართ მივიღოთ უფრო დიდი გამოწვევები!

საქართველოს ჩემპიონატი გოჯუ-რიუში

2023 წლის 24 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი გოჯუ-რიუ კარატეში. მონაწილეობდა 270-მდე მოსწავლე – თბილისიდან, აჭარიდან, გურიიდან და სამეგრელოდან.

წლევანდელი ჩემპიონატი გამოირჩეოდა მაღალი დონის ირიკუმით და ასევე, განახლებული აღჭურვილობით, რაც ნათლად აისახა ჩემპიონატის ხარისხზე.

წელს ჩატარებული ჩემპიონატი, შარშანდელთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

გონიოს საზაფხულო შეკრება

2023 წლის 1-10 ივლისს გონიოში ჩატარდა გოჯუ-რიუს რიგით მე-13 საზაფხულო შეკრება, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, აერთიანებდა რა 170-მდე მონაწილეს. წლევანდელი შეკრება გამოირჩეოდა მრავალი აქტივობით – კატების ტურნირით, პრეზენტაციების კონკურსით, სამხედრო შეჯიბრით და ა.შ

ოკინავას გაშუკუ

2023 წლის 13-15 ივლისს, ოკინავაზე, I.O.G.K.F-ის მიერ ჩატარდა ინსტრუქტორების გაშუკუ, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ჰონბუ დოჯოს სენსეებმა.

კარატეს სამშობლოში 3 დღიანი, დღეში 4-საათიანი ვარჯიშით ჩვენმა ინსტრუქტორებმა ბევრი ახალი ცოდნა და გამოცდილება მიიღეს. ოკინავაზე ჩვენს სენსეებს თან ახლდნენ სენპაები და უფროსი მოსწავლეები. მათ ერთად იაპონიაშიც იმოგზაურეს. მსგავსი აქტივობები და გაშუკუები ძალზე მნიშვნელოვანია გუნდურობისთვის, ორგანიზაციისთვის და გოჯუ-რიუს შენარჩუნებისთვის.

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:
ალ. როგავა, ნ. ბიძინაშვილი, ლ. ბარათაშვილი

თბილისი, ქავთარაძის 1 შეს. #10
ტელ. 995 592 050431, 995 599 464546

gojuryugeorgia@gmail.com
www.dojo.ge